



„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრებს

გონა ტყეშელაშვილის სამოტივაციო წერილი

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი, – ამჟამად 53 წლის გახლავართ, წარმატებით ვმოდგავარდები განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ამ სფეროს საკითხთა სისტემატიზაციისა და მენეჯმენტის აწყოების მიმართულებით.

ამასთან, შინაგანად მტკიცედ მწამს, რომ ადამიანთა მოდგმის დედამიწაზე მოვლინების მთავარი არსი არის: არა მარტო ფიზიოლოგიურად შეას მომავალი თაობა, არამედ აღზარდოს კიდევ, – პიროვნება უნდა ჩამოყალიბდეს მოქალაქედ !

ნებისმიერი ადამიანი მოქალაქედ რომ ჩამოყალიბდეს, უმნიშვნელოვანესია მასში განათლება და აღზრდა ჰარმონიულად იყოს შერწყმული !!!

ამასთან, თითოეულ პიროვნებაში განათლებისა და აღზრდის ერთმანეთთან დაკავშირება ბავშვობიდან უნდა მოხდეს და თანაც, ინდივიდუალურ ყურადღება-მზრუნველობას ეფუძნებოდეს.

ღრმად მწამს, გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველო, როგორც წარმატებული სახელმწიფო რომ შედგეს, აუცილებელია:

თითოეულ პიროვნებაში მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბება !

სწორედ საზოგადოებაში მოქალაქეობრივი აზროვნების ფორმირებაში თავისი გადამწყვეტი სიტყვა შეუძლია თქვას „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, რადგან:

1. „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ აქვს შესატყვისად გამართული საკანონმდებლო ბაზა, თავისი: ხედვებით, მისიით, საჯარო მისწრაფებებით, ძირითადი გამოწვევებით და სტრატეგიული მიზნებით;
2. „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ აქვს მეტ-ნაკლებად გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სახელმწიფოს ბიუჯეტზე მიბმული პროგნოზირებადი დაფინანსება;
3. „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ აქვს კარგად მართვა-მენეჯმენტის თეორიული შანსი: სამეურვეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის საშუალებით.

ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე მოგახსენებთ:

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ვიქნები „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ძალზედ ეფექტური დირექტორი, რადგან „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ სავალდებულო გადაცემების გარდა შევქმნით ზუსტ პრინციპებსა და მენეჯმენტზე აგებულ კონკრეტულ გადაცემებს, რომელთაც: I. საზოგადოებაში ექნება მაღალი საჭიროება

და მათზე იქნება მოთხოვნილება; აქედან გამომდინარე II. ექნება მაღალი რეიტინგი; I. და II-დან გამომდინარე III. ამ კონკრეტულ გადაცემებს ექნება საზოგადოების დიდი ნდობა... ამასთან, მაყურებელთან უკუკავშირის დასამყარებლად და მაყურებლებში მოლოდინის ეფექტის შესაქმნელად, ამ კონკრეტულ გადაცემებს დავახმართ თანამედროვე მაღალ ტექნოლოგიებს და სოციალური ქსელების შესაძლებლობებს... ამას შევძლებ, რადგან მაქვს პრევენციული ხედვების/იდევების სისტემატიზაცია-ოპტიმიზაციის უნიკალური უნარი და მათი განხორციელება-მენეჯმენტის ძალზედ წარმატებული გამოცდილება.

ამასთან, ჩემი ეფექტურობაც მუდმივად გაზომვადი იქნება !!!

სწორედ ჩემი სიტყვების დასტურია:

I. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩემს მიერ შექმნილი და საქართველოს რეგიონებში გასვლზე ორიენტირებული საქართველოს ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“; ამასთან, „ეტალონი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და პოპულარიზაციას უწევს საქართველოს ისტორიულ არჩევანს, – ევროპულ გზას; (სამოტივაციო წერილს ბოლო 3 წლის სტატისტიკა თან ახლავს)

II. საგანმანათლებლო-საინფორმაციო საიტი ETALONI.GE, რომელიც ამავე დროს საგანმანათლებლო სივრცეში თანამედროვე ტექნოლოგიებსაც ამკვიდრებს; (სამოტივაციო წერილს საიტის კვლევა-სტატისტიკა თან ახლავს)

III აღზრდა-განათლების ერთმანეთთან დამაკავშირებელი უნიკალური მაღალტექნოლოგიური ინტერნეტპლატფორმა IZRUNE.GE, რომელიც კორონავირუსის პანდემიის პირობებში განსაკუთრებით საჭირო აღმოჩნდა და კიდევ უფრო მეტად საჭირო გახდება, რადგან მორგებულია სწავლების სამივე ფორმისთვის: დისტანციური, სასკოლო და შერეული (სამოტივაციო წერილს ბოლო 3 წლის სტატისტიკა თან ახლავს)

ყოველივე ზემოთ თქმულს თუ იმასაც დაგუმატებთ, რომ მაქვს წარმატებული სატელევიზიო გამოცდილება (ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი „ეტალონი“) და ვარ წარმატებული მათემატიკოსიც (ამით ანალიზის უნარს ვუსვამ ხაზს), დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ვიქნები „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმატებული გენერალური დირექტორი. მიმაჩნია, რომ ამ თანამდებობიდან სხვა, ჩემზე მეტად ნიჭიერი პიროვნებების, პერსპექტიული პროექტების ხელშეწყობას უკეთ შევძლებ და ქვეყანას გაცილებით მეტ სიკეთეს მოვუტან.

აქვე მინდა აღვნიშნო, დადებითად ვუყურებ „ტელესკოლას“ და იმასაც მინდა ხაზი გავუსვა, რომ „ტელესკოლას“ ორი დიდი „მინუსი“ აქვს და მათი გამოსწორების გარეშე ეს პროექტი საქართველოს მასშტაბით მოსწავლეებსა და პედაგოგებისთვის რეალურად საინტერესო ვერ გახდება და რამდენიმე თვეში სრულიად გაფერმკრთალდება კიდევ. ამ ორი მნიშვნელოვანი ნაკლის გამოსწორება კი მე და ჩემს გუნდს და განათლების საკითხების იმ პროფესიონალებს, რომლებთანაც წარმატებით ვმუშაობთ, მოკლე დროში და თანაც ეფექტურად შეგვიძლია...

როგორც ხედავთ, გამაჩნია არგუმენტირებული ხედვები, „საზოგადოებრივი
მაუწყებლის“ სტრატეგიული განვითარებისა და წარმატებული მენეჯმენტის შესახებ.

ჯერი თქვენზეა...

თუ ვინმე ჩემზე უკეთესი გამოჩნდა, მე მხოლოდ მივესალმები, – ოღონდ ის,
ობიექტურად უკეთესი უნდა იყოს !!!

პატივისცემით,

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი